



ადრეული (სკოლამდელი) განათლება

უმალესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2019 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია

დარგობრივი მახასიათებელი	დასახელება:			
	სარეგისტრაციო ნომერი:	ეს ივსება ცენტრის მიერ		
	დამტკიცების თარიღი:	ეს ივსება ცენტრის მიერ		
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ		
	დარგი/პროფესია:	<input type="checkbox"/> რეგულირებადი	<input checked="" type="checkbox"/> არ არის რეგულირებადი	
	სწავლის სფერო:	სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება Training for pre-school teachers		ISCED-F-ის კოდი: 0112
	პროფესიის დასახელება:	ადრეული ბავშვობის ედიუკატორი Early Childhood Educators		ISCO-08-ის კოდი: 2342
	უმაღლესი განათლების საფეხური:	უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VI დონე	შესაძლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი BA in Preschool Education

დარგობრივი მახასიათებლის მიზანი

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო აღიარებასა და დასაქმებას. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ადრეული (სკოლამდელი) განათლების ბაკალავრის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლით მისაღწევ მინიმალურ კომპეტენციებს, რომელიც ასევე მოიცავს ადრეული განვითარების სფეროს და ადრეული ინტერვენციის სპეციალისტის კომპეტენციებს.

დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი ადრეული განათლების და განვითარების სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პროფესიის და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეუძლია ადრეული განათლების და ინტერვენციის სფეროში პროფესიული ვალდებულებების და პასუხისმგებლობების

შესრულება, ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე-ორიენტირებული მიდგომების გამოყენება, სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი შესაბამისი მეთოდების გამოყენებით და კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.

აღნიშნული დარგობრივი დოკუმენტი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რითაც ისინი შეძლებენ საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, კარიერულ წინსვლას და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებას სპეციფიური კონცენტრაციით ადრეული განათლების, ადრეული ინტერვენციის მიმართულებებზე.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016 წელი
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი
- ეროვნული სასწავლო გეგმა
- ბავშვის უფლებათა კონვენცია
- ბოლონიის დეკლარაცია
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა (http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/277.pdf)

დარგის აღწერა

ადრეული განათლება და განვითარება მოიცავს 0-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, სადაც ხარისხიანი ადრეული განათლებისა და განვითარების კონტექსტი, როგორც სოციალური თანასწორობის პირობა, განსაკუთრებით ღირებულია ერთის მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დარგი ინტერდისციპლინურია განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ეფუძნება ხარისხიანი ადრეული განათლება და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობა. ამ პროცესში თავად ბავშვი თავისი განვითარების განმსაზღვრელია, მდიდარი, მრავალფეროვანი პოტენციალით, პროაქტიული მოქმედებებით და კრეატიულობით; მასზე გავლენას ახდენს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და უფროსის, საზოგადოების და სახელმწიფოს კონტექსტი.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს განათლებისა და განვითარების ჰოლისტურ, მთლიანობით ბუნებას და აერთიანებდეს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს, ადრეული განათლების და ინტერვენციის პროგრამების მრავალმხრივობას, ოჯახის როლს, სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ადრეულ ასაკში სწავლასა და განვითარებაზე, მათ შორის გარემოში არსებულ რისკებს და საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ბავშვის დაცვას და მასზე ზრუნვას უზრუნველყოფს.

ადრეული განათლების და განვითარების სფერო დინამიკური, მუდმივად განვითარებადი დარგია, შესაბამისად პროგრამები უნდა პასუხობდეს დარგის პრაქტიკული, აკადემიური და პროფესიული განვითარების ცვალებად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს.

დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

1. დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები:

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ადრეული განათლების დაწესებულებებში როგორც საგანმანათლებლო (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, პროგრამის სპეციალისტი, მეთოდისტი), ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე:

ფორმალურ და არაფორმალურ ადრეული განათლების პროგრამებში

ადრეული ინტერვენციის პროგრამებში

სხვა ტიპის ადრეული განათლებისა და ზრუნვის დაწესებულებებსა და პროგრამებში

2. სპეციალური მოთხოვნები:

არ არსებობს

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა

მოცულობა, ECTS	min 240 კრედიტი	შესაძლო სტრუქტურა	<input checked="" type="checkbox"/>	ძირითადი სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის:	Min 120ECTS		
				პრაქტიკა	Min30ECTS	მათ შორის:	დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი პრაქტიკა/პრაქტიკები
				თავისუფალი ან/და ზოგადიკომპონენტები	Max30ECTS	მათ შორის:	სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.;
				თავისუფალი ან/და ზოგადიკომპონენტები	Max60ECTS	მათ შორის:	სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები

არ არსებობს.

2. დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები)

დარგის ასპექტი N	კომპეტენციის სფერო		კომპეტენციის	
	ცოდნა და გააზრება (გაცნობიერება)	პრაქტიკული უნარები (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება)	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირება (სპეციფიკური გზა/კრიტერიუმი)
I კომპეტენცია: ადრეული განათლების და განვითარების სხვადასხვაგვარი პერსპექტივების გააზრება				
	<p>1.1. იცის ბავშვის, ბავშვობის, ადრეული განათლების და განვითარების სხვადასხვა - ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, ჯანმრთელობის, ინკლუზიური, კურიკულუმის მოდელების - ხედვა, მნიშვნელობა და ღირებულებები</p> <p>1.2. გააზრებული აქვს, რომ ადრეული განათლების და განვითარების სფერო აერთიანებს და იყენებს სხვადასხვა თეორიებს, მტკიცებულებებს და მიდგომებს.</p> <p>1.3. იცის ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლის, დასწავლის</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვობის მრავალმხრივი პერსპექტივის არგუმენტირებულად, დამაჯერებლად გადმოცემა • შეუძლია ადრეული ასაკის ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი სტანდარტების, კურიკულუმების/პროგრამების შესაბამისად • შეუძლია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარების და სწავლებისათვის თანამედროვე მიდგომების და მეთოდების შერჩევა და გამოყენება 	<p>თეორიული სწავლება პრაქტიკული დავალებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტი (მაგ. კურიკულუმის მოდელების შედარება • ესსე, პრეზენტაცია • რეფლექსური ჩანაწერები • პრაქტიკის პროტფოლიო

	<p>და სწავლების კანონზომიერება, პრინციპები და მოდელები.</p> <p>1.4. იცის ბავშვობის კონცეფციის ცვალებადი ბუნება, ეთიკური პრინციპები, ბავშვის უფლებები და ბავშვის აქტიური როლი და მონაწილეობა თავის უფლებებში, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში.</p> <p>1.5. იცის ადრეული ასაკის ბავშვის სწავლისა და განვითარების ხარისხიანი კურიკულუმები, პროგრამები, ინკლუზიური მიდგომის მნიშვნელობა და პრინციპები.</p> <p>1.6. იცის განათლებისა და განვითარების პროცესის მრავალგვარობა, ჰოლისტიურობა, სადაც თამაში ამ პროცესის წარმართვის ძირითადი საშუალებაა</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვის კეთილდღეობაზე მოქმედი გარემოებების და ფაქტორების ანალიზი და კრიტიკული შეფასება. • შეუძლია კურიკულუმის, პროგრამის მოდელების შეფასება ეფექტიანი და ხარისხიანი კურიკულუმის, პროგრამის მახასიათებლების შესაბამისად • შეუძლია სხვადასხვა კურიკულუმის/პროგრამის შესახებ კრიტიკული მსჯელობა და სხვადასხვა პერსპექტივიდან შეფასება • შეუძლია ბავშვის უფლებების რეალიზება და მისი ძალადობისგან დაცვა ეროვნული და რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისად • შეუძლია ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების, კურიკულუმების, პროგრამების გამორჩევა ბავშვის განვითარებისათვის არასათანადო, განვითარების შეუსაბამო მიდგომებისგან 		
--	--	--	--	--

II კომპეტენცია: ბავშვისა და გარემოს ურთიერთქმედება

	<p>2.1. იცის ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების და სწავლის თავისებურებები და ამ პროცესში ბავშვის აქტიური როლი</p> <p>2.2. იცნობს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს</p> <p>2.3. იცის სხვადასხვა კურიკულუმის მოდელის/თეორიული ჩარჩოს, თამაშზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული უნივერსალური და ინდივიდუალური სასწავლო სტარტეგიები და ინტერვენციები</p> <p>2.4. იცის ოჯახის თავისებურებები, დინამიკა, მხარდაჭერის სტარტეგიები და მშობელთან პარტნიორობის მნიშვნელობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვზე ორიენტირებული, გულისხმიერი (რესპონსული), ურთიერთობების დამყარება ბავშვებთან • შეუძლია თამაშის წამოწყება, მასში ჩართვა, მართვა, გამარტივება/გართულება, ანალიზი და შეფასება • შეუძლია ბავშვის განვითარების საჭიროების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება • შეუძლია ბავშვის პროგრესის სისტემური დოკუმენტირება საგანმანათლებლო პრაქტიკის დაგეგმვისა და მორგების მიზნით. • შეუძლია მრავალფეროვანი მეთოდებით თითოეული ბავშვის 	<p>თეორიული სწავლება პრაქტიკული დავალებები სიმულაცია ლაბორატორიული სამუშაო პრაქტიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული კურიკულუმის მოდელზე დაყრდნობით გეგმის შემუშავება • გეგმის შეფასება და განახლება • კონკრეტული კურიკულუმის მოდელზე დაყრდნობით აქტივობების მოფიქრება • მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მრავალფეროვანი აქტივობები • ესსე, პრეზენტაცია
--	---	--	---	--

<p>2.5. იცის კონსულტირების, ქოლჩინგის მრავალფეროვანი ტექნიკები</p> <p>2.6. იცის პოზიტიური მშობლობის ფილოსოფია და მისი ხელშეწყობის მნიშვნელობა</p> <p>ფლობს ბავშვის ჯანმრთელობასა და ზრუნვასთან დაკავშირებულ ძირითად ცოდნას</p>	<p>საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე დაკვირვება, შეფასება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება და პრაქტიკაში ინტეგრირება</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კონკრეტულ კურიკულუმის მოდელზე დაყრდნობით გეგმის შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განახლება • შეუძლია თითოეული ბავშვის ჰოლისტური განვითარების მიზნით, საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და მასტიმულირებელი <p>საგანმანათლებლო გარემოს შექმნა (ფიზიკური, სოციალური, დროითი) უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია თითოეული ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, განმავითარებელი ინდივიდუალური და ჯგუფური საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით • შეუძლია ბავშვთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით <p>ინტენსიური ინდივიდუალიზებული ჩარევა, საგანმანათლებლო და/ან განმავითარებელი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ოჯახებთან, მათი თავისებურებების მიუხედავად, თანამშრომლობა, მათი ჩართულობის გაზრდა და მხარდაჭერა ბავშვთან ურთიერთობისა და განვითარების პროცესში. • შეუძლია მშობლებში მშობლობის ცოდნისა და პოზიტიური მშობლობის გაძლიერების ხელშეწყობა. 		<ul style="list-style-type: none"> • მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და დიდი ჯგუფური მრავალფეროვანი აქტივობები • პროექტები (მაგ გარემოს მოწყობაზე) • სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსები • რეფლექსური ჩანაწერები • დაკვირვების და შეფასების ჩანაწერები • არაფორმალური დაკვირვების ინსტრუმენტები • შემაჯამებელი ანგარიშები • ინდივიდუალური გეგმები სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე <p>პრაქტიკის პორტფოლიო</p>
--	---	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვების კვების, ჯანმრთელობის და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა შესაბამისი ნორმების დაცვით 		
--	--	--	--	--

III . კომპეტენცია: თვით-განვითარება და ლიდერობა

<p>3.1. იცის ადრეული განათლების სფეროს კვლევის მეთოდები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის მნიშვნელობა</p> <p>3.2. იცის ადრეული განათლებისა და ინტერვენციის პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის ფორმები და განხორციელების გზები</p> <p>3.3. იცის მშობლებთან, სხვაპროფესიონალებთან, თემთან თანამშრომლობის და მათი მონაწილეობის მნიშვნელობა და ხელშეწყობის სტრატეგიები</p> <p>3.4. იცის, თვით-განვითარებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა, ხერხები და საშუალებები</p> <p>3.5. იცის მულტიპროფესიული მუშაობის მნიშვნელობა და ადრეული განათლების და ინტერვენციის პროგრამების ეფექტური მართვის სტრატეგიები</p> <p>3.6. აცნობიერებს რეფლექსური პრაქტიკის - საკუთარი პრაქტიკის კრიტიკულად გააზრების მნიშვნელობას ხარისხის უზრუნველსაყოფად</p> <p>3.7. იცის გუნდური მუშაობის და ლიდერობის შესახებ თანამედროვე თეორიები და სტრატეგიები</p> <p>3.8. აქვს სისტემური ცოდნა ადვოკატირების შესახებ, მის მნიშვნელობაზე განათლების სისტემის და საგანმანათლებლო პროცესების მართვაში</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ინტეგრირება და კვლევის წარმართვა • პრაქტიკული კვლევის ჩატარება • შეუძლია ადრეული განათლებისა და ინტერვენციის პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის ფორმების შემუშავება, ანალიზი და გამოყენება • შეუძლია მშობლებთან, მნიშვნელოვან სამსახურებთან, პროფესიონალებთან და თემთან თანამშრომლობის გზით ბავშვებთან მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა • შეუძლია შეაფასოს, განსაზღვროს და იზრუნოს და სხვები დაიხმაროს პირად პროფესიულ განვითარებაზე და თვით-განვითარებაზე • შეუძლია ადრეული განათლების და ინტერვენციის სერვისების ეფექტური მართვა და მულტიპროფესიული მუშაობის ინტეგრირება • შეუძლია საკუთარი თავის, გამოცდილების, პრაქტიკის რეფლექსია • შეუძლია გუნდური მუშაობისა და ლიდერული კომპეტენციების გამოყენებით ხელი შეუწყოს ინოვაციურ და განმავითარებელ ორგანიზაციულ გარემოს 	<p>თეორიული სწავლება</p> <p>პრაქტიკული დავალებები</p> <p>პრაქტიკა</p> <p>სიმულაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტები (მაგ. ადვოკატირებაზე) • რეფლექსური ჩანაწერები • პროგრამების შეფასების ჩანაწერები • სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსები • არაფორმალური დაკვირვების ინსტრუმენტები • ესსე, პრეზენტაცია • შემაჯამებელი ანგარიშები • საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების გეგმა • პრაქტიკის პორტფოლიო • კვლევა
---	---	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს ადვოკატირების პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელობას • შეუძლია პროფესიული საჭიროებების თვით-ადვოკატირება და ბავშვისათვის ხარისხიანი ადრეული განათლების ადვოკატირება 		
--	--	--	--	--

დამოკიდებულებები და ღირებულებები

- აცნობიერებს და აფასებს საკუთარი პროფესიის მნიშვნელობას საზოგადოებისთვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ხელშეწყობისთვის.
- ცნობს სწავლას, როგორც თანამონაწილეობით და ღია პროცესს, რაც უზრუნველყოფს და ახალისებს ბავშვის წარმატებულ სოციალურ ჩართულობას და სწავლას.
- პატივს სცემს ბავშვებსა და ოჯახებს.
- აღიარებს მშობლის მნიშვნელოვან როლს ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლასა და განვითარებაში.
- სენსიტიურია ბავშვებისა და უფროსების მხრიდან სხვადასხვა ნიშნით - ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, გენდერული და სხვა - დისკრიმინაციული დამოკიდებულების მიმართ და ითვალისწინებს სათანადო რეაგირების აუცილებლობას სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლის, თანასწორობისა და პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით.
- მხარს უჭერს და იცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს.
- ითვალისწინებს ბავშვების საჭიროებებს მათი სრული პოტენციალის გამოვლენისა და მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.
- აღიარებს ადრეული განათლების ჰოლისტურობას, რაც მოიცავს სწავლას, ზრუნვას და აღზრდას
- მხარს უჭერს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს, სადაც ბავშვი თავისი სწავლისა და განვითარების კომპეტენტური, აქტიური მონაწილე და ლიდერია.
- ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და პრაქტიკაში მათ დანერგვაზე;
- ცნობს კვლევის მნიშვნელობას პრაქტიკის სრულყოფაში
- ცნობს თვითშეფასების, რეფლექსურობის და თვითგანვითარების მნიშვნელობას.

მუშაობისა და ურთიერთობისას აჩვენებს პროფესიულ პასუხისმგებლობას ეთიკური პრინციპებისადმი.

3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი	
დარგის ასპექტის №	სპეციალური მოთხოვნები
2.3	პრაქტიკა ხორციელდება ადრეული განათლების დაწესებულებაში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის სუპერვიზიით.

3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი	
დარგის ასპექტის №	სპეციალური მოთხოვნები
2 კომპეტენციისთვის	პრაქტიკის ბაზა (საუნივერსიტეტო ადრეული განათლების, ინტერვენციის პროგრამები) ან ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ბალებთან, ადრეული ინტერვენციის და ადრეული განათლების პროგრამებთან.
2, 3 კომპეტენციისთვის	შრომითი ხელშეკრულებები პრაქტიკაში ჩართულ ადრეული განათლების პრაქტიკოსებთან (საგანმანათლებლო პერსონალთან)
2 კომპეტენციისთვის	პროექტის ოთახები/სივრცეები, სადაც შესაძლებელია მოქნილი ცენტრების მოწყობა ბავშვებისათვის როგორც შენობაში, ასევე მის გარეთ. სათამაშოები, წიგნები, ინსტრუმენტები, ხელოვნების მასალა 0-7/8 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. აღნიშნულ სივრცეში სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ივარჯიშონ გარემოს მოწყობაში, სათამაშოების შერჩევასა და გამოყენებაში, რესურსების შექმნაში, პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. ასეთი სივრცე შესაძლებელი იყოს ადრეული განათლების ცენტრი, სადაც ბავშვები ივლიან, ხოლო სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას, ან რესურს ოთახი, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ დავალებებს განახორციელებენ.

4. დამატებითი ინფორმაცია

შენიშვნა: მიეთითება არსებობის შემთხვევაში, მაგ., სპეციალური მოთხოვნები პროგრამის კომპონენტის/კომპონენტებისადმი ან/და სხვ., სპეციფიკური პრაქტიკა, მისი ხანგრძლივობა, მოთხოვნები მიმღები დაწესებულებისადმი და/ან სხვ. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ სხვა ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს პროგრამის სპეციფიკიდან, მაგრამ არ არის ასახული ზემოთ მითითებულ პუნქტებში.

- 30 კრედიტიანი ადრეული განათლების პრაქტიკის გარდა მეთოდოლოგიურ სასწავლო კურსებში უნდა იყოს ჩაშენებული პრაქტიკა, რათა სტუდენტმა შეძლოს მეთოდოლოგიური საკითხების პრაქტიკაში გადატანა. მაგალითად, ადრეული განათლების ცენტრში დაკვირვების წარმოება, შეფასება, საგანმანათლებლო გარემოს მოწყობა, აქტივობების დაგეგმვა.
- პრაქტიკის სუპერვიზიას ერთობლივად ახორციელებს უნივერსიტეტის პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ადრეული განათლების დაწესებულებაში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად.

- პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფში ერთდროულად არ იუნდა იყოს ორ სტუდენტზე მეტი. ბადის სუპერვაიზორის სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4-ს.
- პროგრამამ სტუდენტებს უნდა მისცეს კარიერული განვითარების და განათლების გაგრძელების შესაძლებლობა უფრო სიღრმისეული კონცეპტრაციით, მაგალითად, ადრეული ინტერვენცია, ადრეული განათლების მკვლევარი.
- სასწავლო პრაქტიკა (სავალდებულო კომპონენტი) - ტარდება შესაბამისი პროფილის და რესურსების მქონე დაწესებულებაში, რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. პრაქტიკის ობიექტზე გატარებული საათების ოდენობა არ უნდა იყოს პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საათების 2/3-ზე ნაკლები;
- მრავალფეროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია შეირჩეს სხვადასხვა ტიპის ადრეული განათლებისა და ზრუნვის დაწესებულებები პრაქტიკისა და კვლევითი პროექტის განხორციელებისთვის. შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
 - სხვადასხვა ტიპის (ფუნქცია, სტრუქტურული მოწყობა და ა.შ.) ადრეული განათლების პროგრამები (მაგ., კერძო, საჯარო, ნახევარ დღიანი, სრულ-დღიანი, ადრეული განვითარების პროგრამა, და ა.შ.)
 - სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მახასიათებლების მიხედვით განსხვავებული ადრეული განათლების დაწესებულებები (მაგ. ადგილმდებარეობა (შედარებით მაღალი ან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მოსახლეობა, ურბანული/არაურბანული),
 - პედაგოგიური მიდგომების/ფილოსოფიის მიხედვით განსხვავებული ადრეული განათლების დაწესებულებები (მაგ., 'ნაბიჯ-ნაბიჯ' პროგრამა, 'ვალდორფის' ბაღი, ბილინგვური პროგრამა და სხვა).
- დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები შეიძლება შესრულებული იყოს როგორც პრაქტიკის ასევე სააუდიტორიო მუშაობისას.

III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ხათუნა დოლიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ასოცირებული პროფესორი სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი
2.	თამარ გაგოშიძე	სსიპ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
3.	ნინო ცინცაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ასოცირებული პროფესორი ადრეული ინტერვენციის პროგრამის ხელმძღვანელი
4.	ეკატერინე დგებუაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი
5.	ნინო ბესელია	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი
6.	ანა ჯანელიძე	გაეროს ბავშვთა ფონდი	ადრეული განათლების სპეციალისტი
7.	ნათია ჯოხაძე	გაეროს ბავშვთა ფონდი	განათლების კონსულტანტი
8.	შორენა ძამუკაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
9.	ნინო ნახუცრუშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
10.	თამთა კუხალიაშვილი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი
11.	ნინო ჯიჯავაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი
12.	თამარ ბაქრაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი
13.	თამარ სალინაძე	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ადრეული განათლების კონსულტანტი
14.	ცირა ბარქაია	World Vision International-ის ფილიალი საქართველოში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი	ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი
15.	ლია ახალაძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
16.	ნინო ალელიაშვილი	გაეროს ბავშვთა ფონდი	ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტი

17.	ეთერ ღვინერია	სსიპ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
18.	ნანა მაკარაძე	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი
19.	ნატო შეროზია	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
20.	ნატო ქობულაძე	სსიპ აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
21.	იაგორ ბალანჩივაძე	სსიპ აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
22.	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
21.	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
22.	ეკა გიგაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი